

განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მათემატიკა/Mathematics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი/Bachelor of Mathematics
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ვლადიმერ ბალაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: vbaladze@gmail.com დალი მახარაძე, ასოცირებული პროფესორი, ელ. ფოსტა: dali.makharadze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოამზადოს მათემატიკის ფუნდამენტურ და გამოყენებით დარგებში ფართო ცოდნისა და ანალიტიკური აზროვნების მქონე ბაკალავრები, რომლებსაც შეეძლებათ მათემატიკურ და არამათემატიკურ დარგებში წარმოქმნილი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გაგება, ანალიზი, შეფასება და გადაწყვეტა; ✓ კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებითაც შეძლებს ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადაპტირებას, ეკონომიკის, ბიზნესის, ინჟინერიის, ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო-კვლევით პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას მათემატიკური მეთოდებით; ✓ უზრუნველყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომით ბაზარზე დამკვიდრებას ან/და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე; ✓ ხელი შეუწყოს მრავალმხრივი განათლებისა და ინტერესების მქონე სტუდენტთა მისწრაფებების დაკმაყოფილებას პროგრამის ფარგლებში არსებული სავალდებულო და არჩევითი კურსების ფართო სპექტრის შეთავაზებითა და დამატებითი სპეციალობის ათვისების შესაძლებლობით.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> ✓ ახდენს ალგებრის, სიმრავლეთა თეორიის და მათემატიკური ლოგიკის თეორიული საფუძვლების და მეთოდების ცოდნის დემონსტრირებას და მათი საშუალებით იკვლევს მათემატიკურ პრობლემებს და ამოცანებს; ✓ ფლობს დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის, დიფერენციალურ განტოლებათა ზუსტ და მიახლოებითი ამოხსნის და ალბათურ-სტატისტიკური მოდელების აგებისა და კვლევის მეთოდებს; ✓ აცნობიერებს ტოპოლოგიისა და გეომეტრიის კლასიკურ და თანამედროვე მიდგომებსა და კვლევის მეთოდებს, მათი

	<p>გამოყენებით ახდენს სივრცეთა და გეომეტრიულ ობიექტთა კლასიფიკაციას;</p> <ul style="list-style-type: none">✓ სხვადასხვა ტიპის მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა და შედეგების წარმოდგენისთვის ახდენს სათანადო პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების იდენტიფიცირებას;✓ აცნობიერებს მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებას და მნიშვნელობას, როგორც მათემატიკურ, ისე არა მათემატიკურ დარგებში.✓ მათემატიკური მეთოდების გამოყენებით იკვლევს მათემატიკის და სხვა დარგების კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებულ, მახასიათებელ მონაცემებს, აანალიზებს მათ, მსჯელობს არგუმენტირებულად და აკეთებს სწორ დასკვნებს;✓ ქმნის და ახორციელებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად;✓ ამზადებს მათემატიკური ამოცანების და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობით და ზეპირ ანგარიშებს, წარადგენს მათ ქართულ და ინგლისურ ენებზე, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;✓ მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებიდან განსაზღვრავს და ეუფლება საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სფეროს;✓ სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობისათვის წარმოაჩენს და ასაბუთებს მათემატიკის მნიშვნელობას.
--	---